

სარჩევი

გიორგი სოსიაშვილის ენის ზოგიერთი ლექსიკური თავისებურება.....	1
„ჩვიდმეტნის " მიხედვით.....	1
მწერალი და ენის საგანძური.....	7

მარიამ კობერიძე
გორის სასწავლო უნივერსიტეტი

გიორგი სოსიაშვილის ენის ზოგიერთი ლექსიკური თავისებურება

„ჩვიდმეტნის " მიხედვით

ყოველი ლიტერატურული თხზულება, რომელშიც გაშუქებულია თანადროული მოვლენები, ფრიად მნიშვნელოვანია ენათმეცნიერებისთვისაც. „რა ახლოა ჩვენთან და რა ორგანული ადამიანური მეტყველების სტიქია და რარიგ მოსაწყენად გვეჩვენება ხშირად სიტყვათშემოქმედების სიღრმეში ჩახედვა, ენობრივი მოვლენის აღმოცენებისა და განვითარების კანონზომიერებაში გარკვევა" (6,3). თუ ჩვენ ახლოს მივალთ მწერლის ენასთან, მეტად თავისებური სამყარო გადაგვეშლება, -- სამყარო, რომელიც აღსავსეა მომხიბლავი ფერებით, ცოცხალი ორგანიზმი, რომელიც გვაგრძობინებს კაცობრიობის მრავალსაუკუნოვან სუნთქვას, მის პულსაციას და ისტორიული განვითარების გზას.

სიტყვას თავისი ცხოვრება აქვს. სიტყვა იბადება, ვითარდება და კვდებაო, ამბობენ. ეს მეტაფორული თქმაა, თორემ არსებითად სიტყვის ცხოვრებას ვერ გავუტოლებთ ცოცხალი ორგანიზმის ცხოვრებას, ორგანიზმისა, რომლისთვისაც მართლაც დამახასიათებელია დაბადება, ზრდა და სიკვდილი. მიუხედავად ამისა, ჩვენ ვამბობთ - სიტყვას თავისი ცხოვრება აქვსო. მართლაც, ესა თუ ის სიტყვა თანდათანობით იქმნება და მკვიდრდება ენაში, დროთა ვითარებაში სახეს იცვლის, შესაძლოა, ენის განვითარების რომელიმე საფეხურზე ხმარებიდან გამოვიდეს, დაიკარგოს... (6, 5).

ენის ლექსიკური შემადგენლობა გრამატიკულ წყობასთან შედარებით უფრო ცვალებადია. ლექსიკა იცვლება და ივსება ახალი სიტყვებით. ეს გარემოება აშკარა გაქრობას უქადის ცოცხალი, ხალხური მეტყველების უძველეს ნიმუშებს. ამიტომაც, რომ მწერლის მისიას წარმოადგენს, საკუთარი ენის ლექსიკური მარაგი შემოუნახოს შთამომავლობას, შექმნას სიტყვაწარმოების ახალი ფორმები და გაამდიდროს ენა, რაც შეიძლება მეტი სიტყვა შეიტანოს ენის საგანძურში.

ამ მხრივ, მეტად საინტერესოა გიორგი სოსიაშვილის წიგნი „ჩვიდმეტნი", რომელიც საშუალებას გვაძლევს თვალი მივადევნოთ სალიტერატურო ენაში მიმდინარე პროცესების დინამიკას ლექსიკური თვალსაზრისით.

საანალიზო მასალაზე დაკვირვებისას ჩვენი ყურადღება მიიპყრო კონტექსტის მიხედვით სინონიმურმა წყვილებმა, რომელიც მწერლის ენის ლექსიკის სიმდიდრესა და მოქნილობაზე მიუთითებს: „მძინარე, სიბნელეში ჩაყურებულ ქალაქს მედიდური მზერით გადმოჰყურებდა" (1, 3); „ვიდრე ბელადი გარდაიცვლებოდა, ვიდრე მია სააქაოს განერიდებოდა" (1,3); „იმ პატარა ქოხის გარშემო, სადაც ბახუსთან გამიჯნურებული თერძის შვილი დაიბადა და თვალხილული სამყარო იხილა, მთელი უბანი ახვეტეს" (1,3);

„როგორ გამოიღია ერთხელ სურსათის მაღაზიებში მარილი და სტალინმა მარილის ქარხნის ხელმძღვანელს მოუხმო" (1,4); „ლავრენტი ვეება ნამდვის ქვეშ გაყურსული იჯდა და ბელადის ძეგლს ასცქეროდა" (1,4); „ბოლოს კიბეს ხელი დაავლო, საღებავებით სავესე ყუთიც ამოიჩარა და ლანდივით გაქრა" (1,5); „სხვა მცირე ერები თავზე წამოგვასვა და მარადიულ ტკივილად გვიქცია ძველი ქართული მიწები, მერე რა..." (1, 5); „მინდა რო სიზმარეთს მივცე თავი და ამ მტანჯველი ფიქრებისაგან გავთავისუფლდე..." (1,13); „ცხინვალის მისადგომებთან ატეხილი სროლის ხმაზე გავჩერდი, ყური წავუვდე" (1,22).

ასეთ წყვილებს შ. ძიმიგურმა სინონიმური პარალელიზმები უწოდა (5, 689), ხოლო ა. შანიძემ და ალ. ღლონტმა მწერლის სტილის დამახასიათებელ ნიშნად მიიჩნია (4, 80; 3, 58).

ახალი ლექსიკური ერთეულების საწარმოებლად გამოყენებულია პრეფიქსული, სუფიქსური და პრეფიქსურ-სუფიქსური წარმოება. მაწარმოებელ ელემენტებად გამოყენებულია როგორც საგანგებო დანიშნულების აფიქსები, ისე თანდებულები და ბრუნვათა (ნათესაობითის, მოქმედებითის, ვითარებითის) ნიშნები. ასეთი წარმოების ლექსიკური მარაგი გამოირჩევა ნაწარმოებ სიტყვათა სიუხვითა და საწარმოო საშუალებათა მრავალფეროვნებით. მაგალითად: „მოსარგლული", „ბორიალი", „უხორცო", „საცეცები", „საძირეები", „დაჯავრიანებული", „ნალოლიავეები", „ნავენახარი", „გამოკვანთული", „საღვინე", „ჭირისუფლობა", „ნასოფლარი", „გადაბუფული"...

საყურადღებოა თხზვა-კომპოზიციის გზით მიღებული სიტყვათშეერთების ნიმუშები: „გაჭირვებულ-უპოვარი", „მუცელგატკლელი", „თანამერხელი", „ნამდაფენილი", „ცხვირპაჭუა", „სულკურთხეული", „ღვთისსულიანი", „დაგვილ-დამარმალელებული", „ხელმადლიანი", „ქვისტეხვა", „ყაშყაში", „ენაჩასაგდები", „წვერმოპრუჭნული", „ღვთისნიერი", „ოქრომნათობი", „ზეცისქვეშეთი", „დაისლამე", „საპურმალილო", „ხასიათწახდენილი", „შუბებაწვართული", „სისხლიერი", „ნასრანისფერი", „მგლისმუხლიანი", „შუბლნათელი"...

პერსონაჟის, საგნის ან მოვლენის დასახასიათებლად და შესადარებლად ავტორი უხვად იყენებს ნაწარმოებ სიტყვებსა და გამოთქმებს: „ცხოვრებას ისეთი საცეცები აქვს, როგორც გინდა გვერდი უარო, ვერ გაექცევი, რაღაცნაირად მაინც შეგეხება და ეს ერთი შეხებაც უკვე იმას ნიშნავს, რო შენც ისეთი ხარ, როგორიც ყველა, ჩვეულებრივი, ხრწნადი მოკვდავი" (1,14); „ახალმოგებული ხბოსავით დაკუნტრუმებს" (1,13); „მე გზადაკარგული მგზავრით მივდივარ" (22); „ჭაბუკური სისხარტით წამოხტა" (1, 26); „კრეტსაბმელი გადაეფარა მნათობს" (1, 32); „ხემოცარული მგზავრით ხარ, შე საცოდავო" (1,32); „ბოლოს იმედი კვდებაო, -- ნათქვამია და გულის კუნჭულში რო ფეთქავს, ის პატარა იმედის ნამცეცი აძლებინებს" (1,32); „მდუღარე ცრემლებით დასტირის" (1,33); „ქვითინი ბღავილში გადაუვა" (1,33); „ნაღვერდლიანი თვალებით შეხედა" (1,36); „მიმჭკნარ სახეზე ბებრული ცრემლი ჩამოსდიოდა და თოვლისფერ წვერში უჩინარდებოდა, გრძნობდა რო უცბათ დაპატარავდა, გაიღია, დაჩიავდა და მილასტულ ბებერკაცად გადაიქცა" (1, 38); „მარიამობისისთვის ღურღურა მზის ქვეშ შეამცივნა" (1,39); „ქართველი ჯარისკაცების სისხლის ტბორი იდგა" (1,39); „შლეგიანივით წამოხტება" (1, 39); „გულის მოხება მერე...როცა სიკვდილის კალოდან გამოაღწევნ ბიჭები" (1,40); „კვიტი გორგალივით დაგორდა" (1,48); „ორი პარასკევი წინ არ ჰქონდა" (1,50); „სანამყნე ნაკვეთი ქუმელასავით გახდა" (1,50); „მაღაგამოცლილი სხეული დავაგდე" (1, 57); „კუნაპეტ წყვდიადში გარინდებულიყო სოფელი" (1,66);

„იფერფლებოდა ღამეები" (1, 67); „ახლად ამოსული მთვარის შუქზე ათასფრად ბრწყინავდა ცის ცრემლი" (1, 67); „თავის ქალაში გამომწყვდეული ფიქრი" (1,73); „მდიმარი თვალებით შევეყურებ" (1,73); „ფიქრის კიდობანი იხსნება და მოედინება სიტყვის ნაკადი, ხვავდება მაგიდაზე ფურცლები..." (1, 74); „შემომხედა მტუქსავი თვალებით" (1, 74); „სიყვარულით მქონდა ჩაფუფქული გულ-მუცელი (1,81); „უმარილო ცხოვრებით უნდა ვიცხოვრო ჩემი ძმაკაცების გარეშე და ასე უნდა გაგრძელდეს" (1,114); „რო უაზრო იყო ეს ბრძოლა, რადგან წინ ურიცხვი მტერი იდგა, სისხლით დაურწყულებული მტერი" (1,119)...

მწერლის ლექსიკა მდიდარია იდიომატური თქმებით, მოხდენილი ფრაზეოლოგიზმებითა და ცალკეული სიტყვებისა თუ გამოთქმების მეტაფორული ხმარებით: „დღის დაბერებას როგორ ველოდება" (1,18); „როგორ შემოდვრა, როგორ შემოფლითასული ეშმაკმა და რა უცბად გაიდგა ბოროტებამ ფესვი" (20); „ჭურში ხომ არ გძინავს?" (1,21); „აღმოსავლეთით გადავიდამზე, ნელ-ნელა მოიპარება, ცოტაც და ბინდი ჩამოწვება" (1,22); „ცხინვალის მისადგომებთან ატეხილი სროლის ხმაზე გავჩერდი, ყური წავუვდე" (1,22); „არ ვიცი რა მოხდა, რა ჭკუაზე დადგნენ" (1,23); „ცოცხლად გაატყავებენ ადამიანს" (1,23); „ამ ოსებსაც ტვინი აქვთ ნაღრმოში" (1,24); „ათას რამეზე ესაუბრებიან, რო როგორმე გული გადააყოლებინონ" (1,33); „ელიზბარს უნდოდა ეთქვა, ეგ ერთი ბიჭი მყამ ცასა და ქვეყანას შუა, მზე და მთვარე მაგაზე ამომდისო, მაგრამ თითქო ენა ჩაუვარდა, ჰოსპიტლის კართან ჩაიმუხლა და ქვითინი დაიწყო" (1,35); „ელიზბარს მუხლები ეკეცებოდა. თვალზე ბინდის უხილავი ქსოვილი გადაეკრა" (1,37); „მერე როგორი მოვლილი, ერბო აიკრიფებოდა" (1,53); „თიმთიმი გაუდიოდა, კვერცხი დაასკდებოდა" (1,56); „პაპუნას ვენახს თვალი და ყბა დაადგა" (1,61); „მიწა იღრინებოდა და ახალგაზრდა მსხვერპლს მოუთმენლად მოელოდა" (1,96); „რა შეჭამე ტვინი" (1, 102)...

ფრაზეოლოგიზმებში გამოყენებულია დიალექტური მასალა. პერსონაჟთა მოქმედების გარემო, წრე, მოსაქმეობა შიდა ქართლშია, ეს შესაძლებლობას აძლევს მწერალს კილოური მეტყველებისათვის დამახასიათებელი ლექსიკური და ფრაზეოლოგიური ერთეულებით გადმოსცეს თავისი გმირების განცდები და სულიერი განწყობილებები.

მწერალი ნაწარმოებ სიტყვებსა და გამოთქმებს ხშირად იყენებს შეთანხმებულ განსაზღვრებად: „თავის როხროხა ხმით მეძახის" (1, 14); „ის მყრალი, მსუსხავი საცეცები ყველგან არის, სულ ყველგან" (1,15); „ახმახი ოსი, პირხმელი, ვება შავი ულვაშებით, „უხორცო ყვირმალეებით" (1,40); „იქვე, ზაზას გვერდით სხვა ქართველი ჯარისკაცებიც არიან, ისინიც ნაცემნაწამები, თვალშეშუპებული, საცოდავი" (1,40); „ყოველ ღამით ფეხშიშველი გამოდიოდა ნამდაფენილ აივანზე და მთის კორტოხზე ჩამომჯდარ ბებერ მთვარეს შესცქეროდა, უღიმღიმოდ რო ბჟუტავდა" (1,40); „ღრუბლებით დაჯანდულ ცას ავხედე " (1,77); „რომელსაც ჯერ კიდევ არ დაუნახავს თვალხილული სამყარო" (1,93); „როცა ლურჯვთვალა ღამე დაისადგურებს" (1,96); „დღეს თვალხილული თუ თვალთუხილავი სამყაროს დაბადების დღე დგება" (1, 97); „მახარემ დაკოჟრილი ხელით ცრემლი მოიწმინდა" (1, 112); „შუბებაწვართული მხედრიონი მიირწევა" (116); „მზით გაშხმარტული სახეც გაუფერკმთალდა" (1, 134).

შეინიშნება პრედიკატული განსაზღვრების გამოყენების შემთხვევებიც: „ვეება, მოსფალტებული ალაგი სისხლით იყო მოსარგლული, შენობები დაცხრილული და გადაბუგული" (1,6); „ლიახვის საამური შხუილი ისმოდა" (1,17); „მუხლებათროლოებულმა გამოვიარე ის ადგილი, სადაც ოსების საგუშაგო იდგა" (1,31); „ელიზბარი ნერწყვამშრალი შესცქეროდა" (1,36); „ფერდაკარგული დარბის წინ და უკან"

(1,39); „მათესარ ესმოდა ეს საუბარი, **ცრემლმორეული იდგა** და ელიზბარს დასცქეროდა, რომელიც ეკალ-ბარდებით დასისხლიანებული ხელებით მზეზე გამომშრალ უცნობი ჯარისკაცის ძვლებს ეფერებოდა" (1,46); „სახლში **გაგენტებული მივიდა**" (1,66); „სოფო **თვალმოდრუბლული მომჩერებოდა**" (1,274).

მწერალი იყენებს ქართული დიალექტისათვის დამახასიათებელ ისეთ სიტყვებსა და გამოთქმებს, რომლებსაც, დღემდე არსებულ დიალექტურ ლექსიკონებში პარალელი არ ეძებნებათ, ამის გამო შესაძლებელია, ისინი სალექსიკონო მასალადაც მივიჩნიოთ. მაგ.: „**შხუილი**", „**ჯგლითი**", „**ჩაგმანა**", „**ღურღურა**", „**დაიჯომა**", „**ბეხლერწა**", „**დონდლო**", „**ბუმბულა**", „**ჩამოლორთხილი**", „**გალუმპული**", „**თიმთიმი**", „**ხელურემი**", „**ყავლი**", „**დასალიერი**", „**ჯაურა**"...

ყურადღებას იქცევს სახელთა ფუძეებისაგან ზმნური აფიქსების დართვით ზმნათა წარმოების შემთხვევები: **დაინერწყვა** (←ნერწყვი), **მიუყურადა** (←ყური), **შეაზიზღათ** (←ზიზღი), **გაგვიავდრდა** (←ავდარი), **გაგულისდა** (←გული), **იჭკუა** (←ჭკუა), **დაუქანგდა** (←ქანგი), **გაწკეპლავს** (←წკეპლა), **დამბოდმა** (←ბოდმა), **გავერანდა** (←ვერანი), **აპილთუმებდა** (←პილთუმი), **დააბოტებდნენ** (←ბოტი), **დაუზანტდა** (←ზანტი)...

ზმნის ფუძედ გამოყენებულია მიმღეობა ან საწყისი: **წაიფორხილებდა** (←ფორხილი), **ვეჯაჯგურეთ** (←ჯაჯგური), **მიემაგრება** (←მიმაგრება), **ადრიხინეს** (←დრიხინი), **ახლუჩუნდა** (←ხლუჩუნი), **მიჩლახუნობენ** (←ჩლახუნი), **იყურყუტა** (←ყურყუტი)...

საანალიზო მასალაზე დაკვირვებისას ჩვენი ყურადღება მიიპყრო ძველი ქართული ენის ლექსიკამ, რომელიც დღეს დავიწყებას არის მიცემული. მწერალმა ეს სიტყვები და გამოთქმები გააცოცხლა და შემოიტანა ლიტერატურულ ენაში. საანალიზო მასალის სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონთან შედარებამ მრავალმხრივ საინტერესო პარალელი გამოავლინა. მაგალითად:

ალაგი – ადგილი (დაყამირებული ალაგი). საბა: „ალაგი – დასადგომი ანუ დასადებელი რისამე ადგილივით. ალაგი ეწოდება, სადა კაცი დაჯდეს ანუ დადგეს, ანუ დაიდვას რამე; ხოლო ადგილი ქვეყნისა ნაკვეთთა ანუ მცირეთა რასმე სახლთა აღსაშენებელთა ანუ დაბათა სახლებთა და სავენახე და მისთანათა ადგილი" (2,44).

მრუმე ქსოვილი. საბა: „**მრუმე** – არს ბნელად საჩინარი, გინა შავი ბინდისა მსგავსი" (2,520).

საწდე – საღვინე. „**პატარა საწდეთი** ღვინოს გამოიტანდა" (17), იგივე მნიშვნელობით დასტურდება სულხან-საბასთან (2,69).

აყალო -- მიწის ერთ-ერთი სახე. საბას განმარტებით „ესე არს მიწა საპონთ მსგავსი, მწიკვლთ გამრეცხელი" (2,81).

პეშვი -- მუჭი. საბა: „**პეშვ** – ორი კელი რა მოხარო (ს) ჭურჭელსავით" (2,622).

ზედაშე – ეკლესიისთვის შესაწირი წითელი სუფთა ღვინო. „ზედაშე დავაყენოთ და გერის ნიშს შევწიროთ" (141). საბა: „ზედაშე – შესაწირავი ღვინო" (2, 278).

დაყამირებული – დაუმუშავებელი მიწის ნაკვეთი. საბა: „ყამირი – ძველი კორდი" (2,262).

საბასთან **ჭარმალი** აღნიშნავს ჭადარას, მცცოვანს. აღნიშნული სიტყვიდან ნაწარმოებია „**სიჭარმაგის**" („**სიჭარმაგის წლები**") (2,398).

ზვარი (მრ. რიცხვი – ზვრები) – ვენახი. საბა: „ზუარი — პატრონის ვენაჰი" (2, 281).

აზრის გამოხატვის ექსპრესიულობის ან მოქმედების ხანგრძლივობისათვის ავტორი ხშირად მიმართავს ლექსიკურ ერთეულთა გამეორებას: „დაუწი, დაუწი, -- ახლა ხელით ანიშნა" (1,10); „ნელ-ნელა დაიზნიქა, დაიზნიქა და ბოლოს მოცელილივით დაეცა" (1,11); „თავი სათოფეზე ვერ ეკარება, ურბენს, ურბენს ზამთარში, ჩაიმწარებს პირსა ის კბილგასახმობი" (1,47); „ხან ვინ გამომიგზავნა, ხან ვინა" (1,50); „ამანა და ამან შენზე იჭორავაო" (1,60).

ასევე საინტერესოა მწერლის მიერ გამოყენებული ტოპონიმები: „შამბირითის მთები", „ქოჩორა მთა", „ზღუდრის ფერდობი", „ლიახვის ხეობა", „წმინდა გიორგის სალოცავი", „ბებერი ციხე", „კარალეთის ვეება ჭადრების ქვეშ", „ქვაფთის ჭალა", „შუაცხვირის ტყე", „ჯვარეთი", „ფოხალას გორაკი", „ღვარები", „მახარობლის ტყე", „ზონკრის ტყე", „შუაცხვირის ტყე", „სამზეოს ხეობა" (ხეობელები), „ირმის ფერდა", „დისევი" („დისეური ვაზი"), „ნაზვრევი", „კოშკას მინდვრები", „დიცური" („დიცურის წყალი"), „ახალგორი"...

ამრიგად, გიორგი სოსიაშვილის ენის თავისებურებას ქმნის ენის საგანძურში შემოტანილი მდიდარი ლექსიკური მასალა, სიტყვაწარმოების საინტერესო ფორმები, ნასახელარ ზმნათა ორიგინალური წარმოება, ქართლური დიალექტისათვის დამახასიათებელი ლექსიკა და სინონიმურ წყვილთა თავისებური წყობა.

ლიტერატურა

1. გ. სოსიაშვილი, ჩვიდმეტნი, თბ., 2011.
2. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, II, თბ., 1991-1993.
3. ალ. ღლონტი, ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბ., 1988.
4. ა. შანიძე, გიორგი მთაწმინდელის ენა, იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრების მიხედვით, თბ., 1946.
5. შ. ძიძიგური, ცნება სინონიმური პარალელიზმისა: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, II, №7, თბ., 1941.
6. შ. ძიძიგური, სიტყვის ცხოვრება, თბ., 1988.

მარიამ კობერიძე

გიორგი სოსიაშვილის ენის ზოგიერთი ლექსიკური თავისებურება „ჩვიდმეტნის" მიხედვით

რეზიუმე

გიორგი სოსიაშვილის ენის თავისებურებას ქმნის მდიდარი ლექსიკური მასალა, სიტყვაწარმოების საინტერესო ფორმები, ნასახელარ ზმნათა ორიგინალური წარმოება, ქართლური დიალექტისათვის დამახასიათებელი ლექსიკა და სინონიმურ წყვილთა თავისებური წყობა.

მწერლის ენის სიმდიდრესა და მოქნილობაზე მიუთითებს კონტექსტის მიხედვით გამოყენებული სინონიმური პარალელიზმები: მძინარე და ჩაყუჩებული,

გარდაიცვლებოდა და განერიდებოდა, დაიბადა და იხილა, წამოგვასვა და გვიქცია, გავეჩრდი და წავუგდე....

ლექსიკური მარაგი გამოირჩევა ნაწარმოებ სიტყვათა სიუხვითა და საწარმოო საშუალებათა მრავალფეროვნებით. მაგალითად: „მოსარგლული“, „ბორიალი“, „უხორცო“, „საცეცები“, „საძირები“, „დაჯავრიანებული“, „ნალოლიავები“, „ნავენახარი“, „გამოკვანთული“, „საღვინე“, „ჭირისუფლობა“, „ნასოფლარი“, „გადაბუგული“....

საინტერესოა მწერლის მიერ გამოყენებული ტოპონიმები: „შამბირითის მთები“, „ქოჩორა მთა“, „ზღუდრის ფერდობი“, „ლიახვის ხეობა“, „წმინდა გიორგის სალოცავი“, „ბებერი ციხე“, „კარალეთის ვეება ჭადრების ქვეშ“, „ქვაფთის ჭალა“.

საინტერესოა მწერლის მიერ გამოყენებული ტოპონიმები: „შამბირითის მთები“, „ქოჩორა მთა“, „ზღუდრის ფერდობი“, „ლიახვის ხეობა“, „წმინდა გიორგის სალოცავი“, „ბებერი ციხე“, „კარალეთის ვეება ჭადრების ქვეშ“, „ქვაფთის ჭალა“, „შუაცხვირის ტყე“, „ჯვარეთი“, „ფოხალას გორაკი“, „ღვარები“, „მახარობლის ტყე“, „ზონკრის ტყე“, „შუაცხვირის ტყე“, „სამზეოს ხეობა“ (ხეობელები), „ირმის ფერდა“, „დისევი“ („დისეური ვაზი“), „ნაზვრევი“, „კოშკას მინდვრები“, „დიცური“ („დიცურის წყალი“), „ახალგორი“...

Mariam Koberidze

Lexical Features of the Language in “Chvidmetni” (the seven) by Giorgi Sosiashvili

Resumé

The different characteristics of Giorgi Sosiashvili's language is formed by rich lexical materials, interesting forms of word -- ilding, special forms of the verbived from nouns, the vocabulary typical for the Georgian dialects and special structures of Sunonymous couples.

The writer's rich and flexible language is indicated and displayed by the synonymous parallelisms, such as: “mdzinare da chakuchebuli” (to be asleep, calm/quiet), “gardaitsvleboda da ganerideboda” (to pass away), “daibada da ikhila” (to be born), “tsamogvasva da gviqtsia” (to get subordinate), “gavcherdi da tsavugde”(to stop and ear);

The vocabulary is distinguished with a great deal of variety of derived words and means of word-building, e.g. “mosargluli” (covered, saturated), “boriali” (rush about), “satsetsebi” (feelers), “sadzireebi” (basements), “dajavrianebuli” (preoccupied, worried), “naloliavebi” (to be under care, protected), “navenakhari” (vineyard remains), “gamokvantuli” (to be dressed attractively), “sagvine” (a jug), “chirisufloba” (to be a near relation of the dead), “nasophlari” (village remains), “gadabuguli” (burnt out).

The interesting use of toponyms is worth to remark: “the Shambirity Mountains”, “Qochora Mountain”(mountain with a toupee), “Zgudery slope”, Liakhvi gorge”, “St. George Chapel”, “Beberi (old) castle”, “under the huge plane-trees of Karaleti”, “Qvafli grove”, “Shuatskhviri forest”, “Jvareti”, “Phokhala hillock”, “Gvarebi”, “Makharobeli forest”, “Zonkari forest”, “Samzeo gorge”, “Irmispherda”, “Disevi”, “Nazvrevi”, “Koshka fields”, “Ditsuri”, “Akhalgori”.

დაბეჭდილია:

საქართველოს მეცნიერებისა და განვითარების ფონდი, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტი“, 3 (41), თბილისი, 2011, გვ. 179-181.

მწერალი და ენის საგანძური

ყოველი ლიტერატურული თხზულება, რომელშიც გაშუქებულია თანადროული მოვლენები, ფრიად მნიშვნელოვანია ენათმეცნიერებისთვისაც. „რა ახლოა ჩვენთან და რა ორგანული ადამიანური მეტყველების სტიქია და რარიგ მოსაწყენად გვეჩვენება ხშირად სიტყვათშემოქმედების სიღრმეში ჩახედვა, ენობრივი მოვლენის აღმოცენებისა და განვითარების კანონზომიერებაში გარკვევა“ (შ. ძიძიგური). თუ ჩვენ ახლოს მივალთ მწერლის ენასთან, მეტად თავისებური სამყარო გადაგვეშლება, --- სამყარო, რომელიც აღსავსეა მომხიბლავი ფერებით, ცოცხალი ორგანიზმი, რომელიც გვაგრძნობინებს კაცობრიობის მრავალსაუკუნოვან სუნთქვას, მის პულსაციას და ისტორიული განვითარების გზას.

სიტყვას თავისი ცხოვრება აქვს. სიტყვა იბადება, ვითარდება და კვდება, ამბობენ. ეს მეტაფორული თქმაა, თორემ არსებითად სიტყვის ცხოვრებას ვერ გავეუტოლებთ ცოცხალი ორგანიზმის ცხოვრებას, ორგანიზმისა, რომლისთვისაც მართლაც დამახასიათებელია დაბადება, ზრდა და სიკვდილი. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ვამბობთ – სიტყვას თავისი ცხოვრება აქვსო. მართლაც, ესა თუ ის სიტყვა თანდათანობით იქმნება და მკვიდრდება ენაში, დროთა ვითარებაში სახეს იცვლის, შესაძლოა, ენის განვითარების რომელიმე საფეხურზე ხმარებიდან გამოვიდეს, დაიკარგოს ... (შ. ძიძიგური).

ენის ლექსიკური შემადგენლობა გრამატიკულ წყობასთან შედარებით უფრო ცვალებადია. ლექსიკა იცვლება და ივსება ახალი სიტყვებით. ეს გარემოება აშკარა გაქრობას უქადის ცოცხალი, ხალხური მეტყველების უძველეს ნიმუშებს. ამიტომაც, რომ მწერლის მისიას წარმოადგენს, საკუთარი ენის ლექსიკური მარაგი შემოუნახოს შთამომავლობას, შექმნას სიტყვაწარმოების ახალი ფორმები და გაამდიდროს ენა, რაც შეიძლება მეტი სიტყვა შეიტანოს ენის საგანძურში.

ამ მხრივ, მეტად საინტერესოა გიორგი სოსიაშვილის წიგნი „ჩვიდმეტნი“, რომელიც საშუალებას გვაძლევს თვალი მივადევნოთ სალიტერატურო ენაში მიმდინარე პროცესების დინამიკას ლექსიკური თვალსაზრისით.

საანალიზო მასალაზე დაკვირვებისას ჩვენი ყურადღება მიიპყრო კონტექსტის მიხედვით სინონიმურმა პარალელიზმებმა, რომელიც მწერლის ენის ლექსიკის სიმდიდრესა და მოქნილობაზე მიუთითებს: „**მძინარე**, სიბნელეში **ჩაყუჩებულ** ქალაქს მედიდური მზერით გადმოჰყურებდა“ (3); „ვიდრე ბელადი **გარდაიცვლებოდა**, ვიდრე ძია სოსო სააქაოს **განერიდებოდა**“ (3); „იმ პატარა ქოხის გარშემო, სადაც ბახუსთან გამიჯნურებული თერძის შვილი **დაიბადა** და თვალხილული სამყარო **იხილა**, მთელი უბანი **ახვეტეს**“ (3); „როგორ **გამოიღია** ერთხელ სურსათის მაღაზიებში მარილი და სტალინმა მარილის ქარხნის ხელმძღვანელს **მოუხმო**“ (4); „ლავრენტი ვეება ნაძვის ქვეშ გაყურსული **იჯდა** და ბელადის ძეგლს **ასცქეროდა**“ (4); „ბოლოს კიბეს ხელი დაავლო, საღებავებით სავსე ყუთიც **ამოიხარა** და ლანდივით **გაქრა**“ (5); „სხვა მცირე ერები თავზე **წამოგვასვა** და მარადიულ ტკივილად **გვიქცია** ძველი ქართული მიწები, მერე რა...“ (5); „მინდა რო სიზმარეთს **მივცე** თავი და ამ მტანჯველი ფიქრებისაგან **გავთავისუფლდე**“ (13); „ცხინვალის მისადგომებთან ატეხილი სროლის ხმაზე **გაჟერდი**, ყური **წავუგდე**“ (22).

ახალი ლექსიკური ერთეულების საწარმოებლად გამოყენებულია პრეფიქსული, სუფიქსური და პრეფიქსურ-სუფიქსური წარმოება. მაწარმოებელ ელემენტებად გამოყენებულია როგორც საგანგებო დანიშნულების აფიქსები, ისე თანდებულები და ბრუნვათა (ნათესობითის, მოქმედებითის, ვითარებითის) ნიშნები. ასეთი წარმოების ლექსიკური მარაგი გამოირჩევა ნაწარმოებ სიტყვათა სიუხვითა

და საწარმოო საშუალებათა მრავალფეროვნებით. მაგალითად: „მოსარგლული“, „ბორიალი“, „უხორცო“, „საცეცები“, „საძირები“, „დაჯავრიანებული“, „ნაღოლიაგები“, „ნავენახარი“, „გამოკვანთული“, „სადვინე“, „ჭირისუფლობა“, „ნასოფლარი“, „გადაბუგული“...

საყურადღებოა თხზვა-კომპოზიციის გზით მიღებული სიტყვათშეერთების ნიმუშები: „გაჭირვებულ-უპოვარი“, „მშუცელგატკლევცილი“, „თანამერხელი“, „ნამდაფენილი“, „ცხვირპაჭუა“, „სულკურთხეული“, „ღვთისსულიანი“, „დაგვილ-დამარმალეული“, „ხელმადლიანი“, „ქვისტეხვა“, „ყაშყაში“, „ენაჩასაგდები“, „წვერმოპრუჭნული“, „ღვთისსიერი“, „ოქრომნათობი“, „ზეცისქვეშეთი“, „დაისლამე“, „საპურმალილო“, „ხასიათწახდენილი“, „შუბებაწვართული“, „სისხლიერი“, „ნასრანისფერი“, „მგლისმუხლიანი“, „შუბლნათელი“...

პერსონაჟის, საგნის ან მოვლენის დასახასიათებლად და შესადარებლად ავტორი უხვად იყენებს ნაწარმოებ სიტყვებსა და გამოთქმებს: „ცხოვრებას ისეთი საცეცები აქვს, როგორც გინდა გვერდი უარო, ვერ გაექცევი, რაღაცნაირად მაინც შეგეხება და ეს ერთი შეხებაც უკვე იმას ნიშნავს, რო შენც ისეთი ხარ, როგორიც ყველა, ჩვეულებრივი, ხრწნადი მოკვდავი" (14); „ახალმოგებული ხბოსავით დაკუნტრუშებს" (13); „მე გზადაკარგული მგზავრივით მივდივარ" (22); „ჭაბუკური სისხარტით წამოხტა" (26); „კრეტსაბმელი გადაეფარა მნათობს" (32); „ხელმოცარული მგზავრივით ხარ, შე საცოდავო" (32); „ბოლოს იმედი კვდებაო, -ნათქვამია და გულის კუნტულში რო ფეთქავს, ის პატარა იმედის ნამცეცი აძლებინებს" (32); „მღუღარე ცრემლებით დასტირის (33); „ქვითინი ბღავილში გადაუვა" (33); „ნაღვერდლიანი თვალებით შეხედა" (36); „მიმჭკნარ სახეზე ბებრული ცრემლი ჩამოსდიოდა და თოვლისფერ წვერში უჩინარდებოდა, გრძნობდა რო უცბათ დაპატარავდა, გაიღია, დაჩიავდა და მილასტულ ბებერკაცად გადაიქცა" (38); „მარიამობისთვის ღურღურა მზის ქვეშ შეამცივნა" (39); „ქართველი ჯარისკაცების სისხლის ტბორი იდგა" (39); „მღეგიანივით წამოხტება" (39); „გულის მოოხება მერე... როცა სიკვდილის კალოდან გამოაღწევენ ბიჭები" (40); „კვიტი გორგალივით დაგორდა" (48); „ორი პარასკევი წინ არ ჰქონდა" (50); „სანამყნე ნაკვეთი ქუმელასავით გახდა" (50); „ძალაგამოცლილი სხეული დავაგდე" (57); „კუნაპეტ წყვილიაღში გარინდებულყო სოფელი" (66); „იფერფლებოდა ღამეები" (67); „ახლად ამოსული მოვარის შუქზე ათასფრად ბრწყინავდა ცის ცრემლი" (67); „თავის ქალაში გამომწყვდეული ფიქრი" (73); „მდიმარი თვალებით შეეყურებ" (73); „ფიქრის კიდობანი. იხსნება და მოედინება სიტყვის ნაკადი, ხვავდება მაგიდაზე ფურცლები..." (74); „შემომხედა მტუქსავი თვალებით" (74); „სიყვარულით მქონდა ჩაფუფქული გულ-მუცელი (81); „უმარილო ცხოვრებით უნდა ვიცხოვრო ჩემი ძმაკაცების გარეშე და ასე უნდა გაგრძელდეს" (114); „რო უაზრო იყო ეს ბრძოლა, რადგან წინ ურიცხვი მტერი იდგა, სისხლით დაურწყულბელი მტერი" (119)...

მწერლის ლექსიკა მდიდარია იდიომატური თქმებით, მოხდენილი ფრაზეოლოგიზმებითა და ცალკეული სიტყვებისა თუ გამოთქმების მეტაფორული ხმარებით: „ღღის დაბერებას როგორ ველოდები" (18); როგორ შემოძვრა, როგორ შემოფლითა სული ეშმაკმა და უცბად გაიღვა ბოროტებამ ფესვი" (20); „ჭურში ხომ არ გძინავს?" (21); „აღმოსავლეთით გადავიდა მზე, ნელ-ნელა მოიპარება, ცოტაც და ბინდი ჩამოწვება" (22); „ცხინვალის მისადგომებთან ატეხილი სროლის ხმაზე გაჩერდი, ყური წავუგდე" (22); „არ ვიცი რა მოხდა, რა ჭკუაზე დადგნენ" (23); „ცოცხლად გაატყავებენ ადამიანს" (23); „ამ ოსებსაც ტვინი აქვთ ნაღრძობი" (24); „ათას რამეზე ესაუბრებიან, რო როგორმე გული გადააყოლებინონ" (33); „ელიზბარს უნდოდა ეთქვა, ეგ ერთი ბიჭი მყამ ცასა და ქვეყანას შუა, მზე და მთვარე მაგაზე ამომდისო, მაგრამ თითქო ენა ჩაუვარდა, ჰოსპიტლის კართან ჩაიმუხლა და ქვითინი დაიწყო" (35); „ელიზბარს მუხლები ეკეცებოდა. თვალზე ბინდის უხილავი ქსოვილი გადაეკრა" (37); „მერე როგორი მოვლილი, ერბო აიკრიფებოდა" (53); „თიმთიმი გაუდიოდა, კვერცხი დაასკდებოდა" (56); „პაპუნას გენახს თვალი და ყბა დაადგა" (

61); „მიწა იდრინებოდა და ახალგაზრდა მსხვერპლს მოუთმენლად მოელოდა" (96); „რა შეჭამე ტვინი" (102)....

ფრაზეოლოგიზმებში გამოყენებულია დიალექტური მასალა. პერსონაჟთა მოქმედების გარემო, წრე, მოსაქმეობა შიდა ქართლშია, ეს შესაძლებლობას აძლევს მწერალს კილოური მეტყველებისათვის დამახასიათებელი ლექსიკური და ფრაზეოლოგიური ერთეულებით გადმოსცეს თავისი გმირების განცდები და სულიერი განწყობილებები.

მწერალი ნაწარმოებ სიტყვებს და გამოთქმებს ხშირად იყენებს შეთანხმებულ განსაზღვრებად: „თავის **როხროხა** ხმით მეძახის" (14); „ის **მყრალი**, **მსუსხავი** **საცეცები** ყველგან არის, სულ ყველგან" (15); „**ახმახი** ოსი, **პირხმელი**, **ვეება შავი** უღვაშებით, „**უხორცო** ყვირმალებით "; „იქვე, **ზახას** გვერდით სხვა ქართველი ჯარისკაცებიც არიან, ისინიც **ნაცემნაწამები**, **თვალშეშუპებული**, **საცოდავი**" (40); „ყოველ ღამით ფეხშიშველი გამოდიოდა **ნამდაფენილ აივანზე** და **მთის კორტოხზე ჩამომჯდარ ბებერ მთვარეს** შესცქეროდა, უღიმღიმოდ რო **ბჟუტავდა**" (41); „**ღრუბლებით დაჯანღულ ცას** ავხედე" (77); „რომელსაც ჯერ კიდევ არ დაუნახავს **თვალხილული სამყარო**" (93); „როცა **ღურჯთვალა** ღამე დაისადგურებს" (96); „დღეს **თვალხილული** თუ **თვალთუხილავი** სამყაროს დაბადების დღე დგება" (97); „მახარემ დაკოჟრილი ხელით ცრემლი მოიწმინდა" (112); „**შუბებაწვართული** მხედრიონი მიირწევა" (116); „**მზით გაშხმარტლული** სახეც გაუფერკმთაღდა" (134).

შეინიშნება პრედიკატული განსაზღვრების გამოყენების შემთხვევებიც: „ვეება, მოასფალტებული ალაგი სისხლით იყო **მოსარგლული**, **შენობები დაცხრილული** და **გადაბუგული**" (6); „**ლიახვის საამური შხუილი** ისმოდა" (17); „**მუხლებათრთოლებულმა გამოვიარე** ის ადგილი, სადაც ოსების საგუშაგო იდგა" (31); „ელიზბარი **ნერწყვამშრალი შესცქეროდა**" (36); „ფერდაკარგული დარბის წინ და უკან" (39); „მათეს არ ესმოდა ეს საუბარი, **ცრემლმორეული იდგა** და ელიზბარს დასცქეროდა, რომელიც ეკალ-ბარდებით დასისხლიანებული ხელებით მზეზე გამომშრალ უცნობი ჯარისკაცის ძვლებს ეფერებოდა" (46); „სახლში **გაგენთებული მივიდა**" (66); „სოფო **თვალეზმოდრუბლული მომჩერებოდა**" (273);

მწერალი იყენებს ქართლური დიალექტისათვის დამახასიათებელ ისეთ სიტყვებისა და გამოთქმებს, რომლებსაც დღემდე არსებულ დიალექტურ ლექსიკონებში პარალელი არ ეძებნებათ, ამის გამო შესაძლებელია, ისინი სალექსიკონო მასალადაც მივიჩნიოთ: „**შხუილი**", „**ჯგლითი**", „**ჩაგმანა**", „**ღურღურა**", „**დაიჯოშა**", „**ბეხლერწა**", „**დონდლო**", „**ბუმბულა**", „**ჩამოლორთხილი**", „**გალუმბული**", „**თიმთიმი**", „**ხელურემი**", „**ყავლი**", „**დასალიერი**", „**ჯაურა**..

ყურადღებას იქცევს სახელთა ფუძეებისაგან ზმნური აფიქსების დართვით ზმნათა წარმოების შემთხვები: **დაინერწყვა** (← ნერწყვი), **მიუყურადა** (← ყური), **შეაზიზღათ** (← ზიზღი), **გაგვიავდრდა** (← ავდარი), **გაგულისდა** (← გული), **იჭკუა** (← ჭკუა), **დაუჟანგდა** (← ჟანგი), **გაწკეპლავს** (← წკეპლა), **დამბოდმა** (← ბოდმა), **გავერანდა** (← ვერანი), **აპილთუმებდა** (← პილთუმი), **დააბოტებდნენ** (← ბოტი), **დაუზანტდა** (← ზანტი)....

ზმნის ფუძედ გამოყენებულია მიმღეობა ან საწყისი: **წაიფორხილებდა** (← ფორხილი), **მიჩლახუნობენ** (← ჩლახუნი), **ვეჯაჯგურეთ** (← ჯაჯგური), **მიეძაგრება** (← მიძაგრება), **აადრიხინეს** (← დრიხინი), **ახლწუნდა** (← ხლწუნი), **შებდავლეს** (← ბდავილი), **ჩამოჩლახუნდა** (← ჩლახუნი), **იყურყუტა** (← ყურყუტი) ...

საანალიზო მასალაზე დაკვირვებისას ჩვენი ყურადღება მიიპყრო ისეთმა ლექსიკურმა ერთეულებმა, რომელიც დღეს დავიწყებას არის მიცემული. მწერალმა ეს სიტყვები და გამოთქმები გააცოცხლა და შემოიტანა ლიტერატურულ ენაში. საანალიზო მასალის სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონთან შედარებამ მრავალმხრივ საინტერესო პარალელი გამოავლინა. მაგალითად:

ალაგი – ადგილი (დაყამირებული ალაგი). საბა: „ალაგი – დასადგომი ანუ დასადებელი რისამე ადგილივით. ალაგი ეწოდება, სადა კაცი დაჯდეს ანუ დადგეს,

ანუ დაიდვას რამე; ხოლო ადგილი ქვეყნისა ნაკვეთთა ანუ მცირეთა რასმე სახლთაა აღსაშენებელთა ანუ დაბათა სახლებთა და სავენაჲ და მისთანათა ადგილი".

მრუმე ქსოვილი. საბა: „მრუმე – არს ბნელად საჩინარი, გინა შავი ბინდისა მსგავსი“;

საწდე – საღვინე. „პატარა საწდეთი ღვინოს გამოიტანდა" (17), იგივე მნიშვნელობით დასტურდება სულხან-საბასთან.

აყალო -- მიწის ერთ-ერთი სახე. საბას განმარტებით „ესე არს მიწა საპონთ მსგავსი, მწიკვლთ გამრეცხელი“.

პეშვი -- მუჭი. საბა: „პეშუ – ორი ჯელი რა მოხარო (ს) ჭურჭელსავით“.

ზედაშე – ეკლესიისთვის შესაწირი წითელი სუფთა ღვინო. „ზედაშე დავაყენოთ და გერის ნიშს შევწიროთ" (141). საბა: „ზედაშე – შესაწირავი ღვინო“.

დაყამირებული – დაუმუშავებელი მიწის ნაკვეთი. საბა: „ყამირი – ძველი კორდი“.

საბასთან **ჭარმაღი** აღნიშნავს ჭადარას, მკცოვანს. აღნიშნული სიტყვიდან ნაწარმოებია „სიჭარმაღის" („სიჭარმაღის წლები“).

ზუარი (მრ. რიცხვი -- ზერები) – ვენახი. საბა: „ზუარი — პატრონის ვენახი“.

აზრის გამოხატვის ექსპრესიულობის ან მოქმედების ხაანგრძლივობისათვის ავტორი ხშირად მიმართავს ლექსიკურ ერთეულთა გამეორებას: „დაუწი, დაუწი, -- ახლა ხელით ანიშნა" (10); „ნელ-ნელა დაიზნიქა, დაიზნიქა და ბოლოს მოცვლილივით დაეცა" (11); „თავი სათოფეზე ვერ ეკარება, ურბენს, ურბენს ზამთარში, ჩაიმწარებს პირსა ის კბილგასახმობი" (47); „ხან ვინ გამომიგზავნა, ხან გინა" (50); „ამანა და ამან შენზე იჭორავაო" (60).

ასევე საინტერესოა მწერლის მიერ გამოყენებული ტოპონიმები: „შამბირითის მთები", „ქოჩორა მთა", „ზღუდრის ფერდობი", „ლიახვის ხეობა", „წმინდა გიორგის სალოცავი", „ბებერი ციხე", „კარალეთის ვეება ჭადრების ქვეშ", „ქეაფთის ჭალა", „შუაცხვირის ტყე", „ჯვარეთი", „ფოხალას გორაკი", „ღვარები", „მახარობლის ტყე", „ზონკრის ტყე", „შუაცხვირის ტყე", „სამზეოს ხეობა" (ხეობელები), „ირმის ფერდა", „დისევი" („დისეური ვაზი"), „ნაზვრევი", „კოშკას მინდვრები", „დიცური" („დიცურის წყალი"), „ახალგორი"...

ამრიგად, გიორგი სოსიაშვილმა ენის საგანძურში შემოიტანა მდიდარი ლექსიკური მასალა, სიტყვაწარმოების საინტერესო ფორმები, ნასახელარ ზმნათა ორიგინალური წარმოება, ქართლური დიალექტისათვის დამახასიათებელი ლექსიკა და სინონიმურ წყვილთა თავისებური წყობა.

დაბეჭდილია:

„ჩვენი უნივერსიტეტი“, სსიპ -გორის უნივერსიტეტის ყოველთვიური ჟურნალი №7, ოქტომბერი, გორი, 2011.

